



კვინტესი

1991
ნოემბერი
27
ს. მ. ლ. ს. ნ.
№ 89 (10482)
წილი 5 კაპ.

საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ა. პატრიკეევს

20 ივლისს ქალაქ სოხუმში შემდეგ კი 21 ივლისს ქალაქ თბილისში რამდენიმე ათეული სამხედრო მოსამსახურე გახდა მასობრივი უწყისრიგობის ორგანიზატორი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სოხუმში, ძირითადად, ესენი იყვნენ სადესანტრო-მოიერიშე ბატალიონის ოფიცრები და პრაზორშიკები, თბილისში — საარტილერიო სპეცვლადების კურსანტები. ისარგებლეს ღამის სიბნელით და მოქმედებდნენ რა ცალკეულ ჯგუფებად, სამხედრო მოსამსახურეები იჭერდნენ და სცემდნენ გამველულ-გამომველთ, დაჩეჩქვეს ათეულობით ავტომანქანა, იჭრებდნენ დაწესებულებებში და არბევდნენ მოქალაქე-

თა სახლებს. დაშვებულთა შორის არიან ქალები და ბავშვები. ორთავე შემთხვევაში, სოხუმშიც და თბილისშიც, მოფეხისტე გაეხატონები წინასწარ განზრახვით შეურაცხყოფდნენ მოქალაქეთა ერთნაირ ღირსებას და პატიოსნებას. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალობის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ცალკეული ნაწილების პირად შემადგენლობასა და ზოგიერთი სასწავლებლის კურსანტებს შორის დაბალია სამხედრო დისციპლინის დონე, რაც მათ

საშუალებას აძლევთ პროვოკაციულად გამოიწვიონ ასეთი ანტიპუბლიკური აქტები. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოითხოვს — სამხედრო პროკურატურამ დაუყოვნებლივ აწარმოოს გამოძიება, გამოავლინოს და დასაჯოს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი უწყისრიგის დარღვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითნებობის ზემოთ აღნიშნული აქტისათვის, მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა დაეკისრება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალობას. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჯეორჯი ბაქრაძის** ბრძანებით. თბილისი, 1991 წლის 23 ივლისი.

სეზონი ორგანიზებულად დავიწყეთ

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურამ მიიღო განკარგულება დამზადების სამეურნეო-მშენებლო გაერთიანების რეორგანიზაციის შესახებ. აღინიშნა, რომ დამზადების სამეურნეო-მშენებლო რაიონული გაერთიანების შეშაობა არ შეესაბამება იმ პასუხისმგებლობასა და როლს, რომელიც დაკისრებული აქვს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამსახურს. ატასწორი ორგანიზაციის შედგენა არ სრულდება სახელმწიფო რესურსების მიწოდების დაგეგმვა, დამზადების ფუნქციები

ფაქტურად დაკისრებული აქვს საზოგადოებრივ მეურნეობებს, რამაც ხელი შეუწყო ამ მეურნეობებში ძირითადი წარმოების მიმართ ყურადღების მოდუნებას და დარგთა განვითარებაში ჩამორჩენილობას. მარტო გასულ წელს გადატვირთულ პროდუქციასზე კოლმეურნეობებმა და მეურნეობებმა 350 ათას მანეთამდე იზარალეს. დამზადების რაიონული გაერთიანება კი ფაქტურად შეამავლის როლში გამოდის და არსებით გაველნას (დასასრული მე-2 გვერდზე)

ინტერვიუ

იშვითად თუ მოიძებნება დღეს საქართველოში ადამიანი განათლების სისტემაში შექმნილი მდგომარეობა რომ არ აწუხებდეს. საქაოდ დაგროვდა იქ პრობლემა. რა კეთდება, რა უნდა გაკეთდეს, რომ კრიზისიდან გამოვიდეს არა მარტო სკოლა, არამედ მთლიანად განათლების სისტემა.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს მიერ დასმულ ზოგიერთ შეკითხვას პასუხობს ზუგდიდის პრეფექტურის განათლების განყოფილების გამგე **ლუბარა მკვირვალია**:
— ქალბატონო ლუბარა, სკოლის მიმართ ძალზე გულსაკლავი ხავედურები ისმის, ხომ არ გარგავს იგი მარტო ავტორიტეტს კი არა საერთოდ, თავის ფუნქციასაც?
— სკოლა ერის სანაცოცნლოდ უჩრდელია, რომლის არტერიები აბსოლუტურად დაკავშირებულია დღევანდელობასთან და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერის მომავალს, ყოველივე იმან რისთვისაც ვიბრძვით...
სკოლის ბედი, მის წინაშე წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები, ბუნებრივია, ყოველწლივად ადამიანის საფიქრალი უნდა გაყოს. ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ მოზარდმა აუცილებლად უნდა დაამთავროს სკოლის სრული კურსი, რათა მიიღოს სიმწიფის ატესტატი. სწორედ ეს აუცილებლობა გახლდათ მიზეზი სკოლის ავტორიტეტის დაღმავლობისა.
განა გულსტკივილით არ შეგინაშნავს, თუ როგორ გამ-

გზაზე დამდგარი ერის ზეალინდელი დღისათვის, უნდა ვიცოდეთ, რომ ავტორიტეტს არავითარ შემთხვევაში არ ჰქონს უმაღლესი განათლების მიღება, არამედ ეს თვითონ პიროვნებამ, ინდივიდმა უნდა შექმნას. დღეს, როდესაც სკოლა რესპუბლიკის მთავრობის ყურადღების ცენტრშია, იგი არ გარგავს თავის ფუნქციას.

სკოლა იცვლის სახეს

დარა უტოლნარი მოსწავლე სტუდენტი და შემდეგ იგივე უტოლნარი სტუდენტი როგორ მოკალათებულა სკოლაში მასწავლებლად. აი ძირი და ძირი იმისა, რომ სკოლამ ბევრი რამ დაკარგა ძვირფასი და აუცილებელი.
სკოლის მომავალზე ზვერად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრის ხწორი ფორმირება, ჩვენ უნდა მივაჩვიოთ ჩვენი გონება და აზროვნება იმას, რომ არ არის აუცილებელი უმაღლესი განათლების მიაღწევა, ამჟამად ქვეყანას სჭირდება უმაღლესი შეგნების, უმაღლესი სპეციალობის მქონე მუშე, ძველი სტერეოტიპები არამც და არამც არ გამოდგება განწმენდის

— რა ვუყოთ იმ ბავშვებს, რომლებიც ძალად კლასებში ვერ მოხვდნენ საკონკურსო გამოცდების შედეგად, ისინი ხომ არ აღმოჩნდებიან ქუჩაში, ხომ არ გაიზრდება არასრულწლოვანთა დანაშაულის ისედაც დიდი რიცხვი?
— მთელდღესი და შტკიენეული იყო ჩვენთვის, როცა მივიღეთ ინსტრუქცია სკოლაში მისაღები, საკონკურსო გამოცდების შესახებ.
წინასწარ მივიღეთ ზომები გამოცდების თბიერებად ჩატარების მიზნით. განვქვერიტეთ გამოცდებზე ჩაჭრილ მოსწავლეთა რაოდენობა და ვიფიქრეთ მათ შემდგომ ბედზეც.
ერთი რამ, რაც აუცილებლად მინდა გამოვყო, ის გახლავთ რომ მისაღებ გამოცდებზე არ გამოცხადებულა და საკუთარი

განცხადების საფუძველზე სკოლიდან გასვლის სურვილი გამოთქვა დაბალი აქადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა 22,7 პროცენტმა. მინდა გამოთქვა იმ ედი, რომ ახალგაზრდები იპოვიან საკუთარ თავში ძალას, შესძლებენ ცდუნებზე ამადლებას და ამდენად მძევს რწმენა, ისინი ცუდი ადამიანები არ იქნებიან.
მოხდა სრულიად კანონზომიერი და აუცილებელი პროცესი:

ორგანიზაციათა დახმარებით შეგანერხებთ მათ დასაქმებას. იმ მოტივით, რომ პარალელურად სწავლა გააგრძელონ საღამოს სკოლებში.
— სკოლაში დღეს აღზრდის დაწესებულებებში თუა მოსკლოდენელი რაიმე სიახლემ?
— განათლების სისტემის ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სკოლაში დღეს დაწესებულებას აღმასვლა დასაწყისიდან იწყება: სკოლაში დღეს დაწესებულებამ უნდა შეძლოს ბავშვის გონების იმდენად განვითარება, რომ სკოლას საკმაოდ მომზადებული მოსწავლე მიუვიდეს, მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია როდია.
მინდა იღენიშნოთ, რომ გადიდდა და სკოლაში დღეს დაწესებულებების პედაგოგთა ხელფასიც, მაგრამ აქ ისევ პრობლემად რჩება სპეციალური განათლების მქონე კადრებით დაკომპლექტების საკითხი, აგრეთვე სეროტიპული პრობლემები გვაქვს სკოლაში დღეს კვებაშიც, რაც გამოწვეულია ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობით.
სრული გამარჯვება განათლებს სისტემაში მთლიანად მაშინ არის შესაძლებელი, როცა ყველა იმერად ვიფიქრებთ და ვიზრუნებთ ზეალინდელი მოსწავლის ბედი-ბედზე.
ესაუბრა თამაზ რიგვაშა

გუგლიძის ისტორიულ გეგმეზე დასკვნა

ქრისტიანული სიწმიდანების შესახებ

გუგლიძის ისტორიული გეგმე უძველესი საეკლესიო დოკუმენტია და მისი მნიშვნელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა საქართველოში. მის ფონდსაცავებში დაუნჯებულია საქართველოს ისტორიისა და კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები.

გუგლიძის კოლექციები შეიქმნა სამეგრელოს ყოფილი მთავრების, დადიანთა საგვარეულო საგანძურის, 1922-1923 წლებში სახელმწიფოს მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის ჩამორთმეული ქონების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების შედგენის შედეგად მოპოვებული მასალების, გუგლიძის მიერ შენარჩუნებული ხელნაწილის ძეგრების ნიმუშებისა და შემოწმებული საფუძველზე, ყოველივე ამის შედეგად გუგლიძის კოლექციის დასრულება 40 ათასზე მეტი სხვადასხვა ხაზის-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული, ფერწერული ნივთებისა და გამოყენებითი ხელნაწილის, წერილობითი და სხვა ნივთების შექმნით.

ამჟამად გუგლიძის კოლექცია წარმოადგენს სამეგრელოს (მე-11ს), თამარ მეფის დედის ხატი (მე-13 წ.), კარგი ხატი წმინდა გიორგისა, ქრისტობის-კირილე ჟუაჭიძის გამოსახულებით (მე-16 წ.), ციხის ღვთისმშობლის ხატი, ცაიშის ღვთისმშობლის ხატი (მე-17 წ.), ხატი წმინდა გიორგი სა-ბეჭე მეუწარგია და მრავალი სხვა. ეს ძეგლები მდიდარ ისტორიულ მასალას მოიცავს. წესები თარიღები და ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც წარწერებშია გადმოცემული, საშუალებას გვაძლევს საქართველოს იმდროინდელი ეპოქის შესახებ შევხედოთ.

ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია ოდითგანვე თავის სიძველესა და სათუთად ეპარხოლად მონასტრებში დაცულ სიწმიდანებს, ჯვარ-ხატებს, მაგრამ დროთა განმავლობაში, გარემოებების შემოსევებისა და შინაგანი უშუალოდ გამო ჩვენი ეკლესიის საგანძურთან ერთად სიწმიდანების უმეტესობა განადგურებულია, ხოლო ნაწილი კი მუზეუმებსა და სხვა ადგილებში დამკვიდრებულია.

ამ ფაქტის დადასტურებლად მკვლევარმა წარმოადგინა გუგლიძის ისტორიული მუზეუმში დაცული სიწმიდანები, რომელიც ხობის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან 1923-28 წლებში შენარჩუნდა და მუზეუმის საგანძურთან შორის იშვიათობას წარმოადგენს. ეს არის სახელგანთქმული კვართი ღვთისმშობლისა, რომელიც თავის დროზე, როგორც ჩანს დეკორით ყოფილა შემკობილი. მაგრამ დროთა

განმავლობაში ხალხები გადასულა, ამჟამად იგი უფრო ტილოს წაგავს (ზომა 180X15 სმ), წმინდა მარინეს მკლავი უსამკულოდ (აკლია დიდი თითი და სარქვენიეული თითის სკნსარი), წმინდა კვირიკის ხელი (აკლია ორი თითი, პატარა და უსახელო) წმინდა გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილები.

ეს წმიდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით გაქვილი პატარა ზომის კუბოში, რომელიც ლევან მე-2 დადიანის დავითით დაუმზადებიათ. იგი შემკულია სამი ფირუზის თვლით, ღვთისმშობლის გამოსახულებით და აქვს მხედრული წარწერა: „... შევამე და მოვაკვიდინე. კვართის. კუბო. ესე. ვერცხლითა. იქროთ. და ფრვითა. თვლითა. მარგალიტითა. მე ხელმწიფემან. დადიანმა. პატრონმა. ლევან. მისთვის. სახად შევიკვიეთ. ყოვლად წმინდას. ქერაბინთა. უმალესს. სერაბინთა. უაღმატებულესათ. ქალწულს. ყდ. საგალობელს. ლხინებას. ყოველთა. ქრისტიანთათა. შეისმინე. ვერცხლს. ჩვენი. და ისენი. და აცხოვე. განასვენე. და აკურთხე. სული. დედოფლისა. ნესტან-დარეჯანისა. და დამკვიდრე. სასუფეველისა. ამინ. მოიქედა ყოვლად. წმინდას. პერანგისა. კუბო ესე. ქესა. სემას. ოცდა. რვასა. ქორნიკონი უდრის 1640 წელს. ყუთი ძლიერ დაზიანებულია. ამ სხეულს გარდა მასში ინახებოდა მური (ზომა 10, 7X2, 5 სმ), ჯვარი ხის (ზომა 5, 5X5, 5 სმ), რომელიც ვერცხლითა გაქვილი, დრუბელი, ორი ბოქლოში ერთზე ლომის გამოსახულებით, ხოლო მეორეზე ჯორისა.

სანტერესია თუ როგორ მოხდა ეს ნივთები ხობის მონასტრში? არსებობს აზრი თითქოს საქართველოში მე-17 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმიდან იყოს ჩამოტანილი ეს წმიდა ნაწილები.

1640 წლის გაზაფხულზე ლევან დადიანთან რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარევი სტუმრობდნენ. ამ ელჩობის დროს ისინი ხობის მონასტრისაც ეწვივნენ. მონასტრის არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა მათ დათვალა ირგინა ტაძარი, უჩვენა ღვთისმშობლის პერანგი და წმინდანების კვირიკისა და მარინეს წმინდა ნაწილები. სტუმრების კითხვაზე ვის მიერ და საიდან ჩამოიტანეს იგი, არქიმანდრიტს განუმარტავს, რომ „მე დიდი ხანი არ არის რაც

აქ, ამ თანამედროვე ვარ და არ ვიცი საიდან ან ვის მიერ არის ჩამოტანილი“ (იხ. ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობა სამეგრელოში, ბელოკუროვის გამოცემა, წიგნი. მე-2, გვ. 37). ხოლო არქანგელო ლამბერტი პარდაპირ მითითებს იმდევა ხობის მონასტრში წმინდა ნაწილების არსებობის შესახებ, მაგრამ ვის მიერ ან როდის იქნა ჩამოტანილი ამჟამ არაფერს ამბობს. ის აღნიშნავს, რომ ხობის მონასტრში „არჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივს სცემენ...“ (არქანგელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი 1938 წ. გვ. 121).

მე-17 საუკუნის თვითწილთა ორდენის ბერძენ პრეფატი იოზეპ მარია ძამბი, საქართველოდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ მოსწენებაში უაღრესად სანტერესოდ აღწერს ხობის მონასტრში დაცულ წმინდა ნაწილებს. მისიონერი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს ხალხს ბევრი რაობიქვა აქვს, რომლებიც მათ პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი მქონდათ კონსტანტინეპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიგიურ უზავნიდნენ ხაზურად. შემდეგ ეს რელიგიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტყებინათ, და ბოლოს, რელიგიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ მაშინდა თირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადარჩენილნი და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელიმეშმარტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც მათი თქმით, ღვთისმშობელს ეძუთვოდა. ჩვენს პატრებს იგი უწავდათ, ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარტულია ნეშისით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი-ოთხისა; აქვს ერთი მტკაველის სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყულო, მეც

მინახავს იგი ხობის ეკლესიაში სადაც ის ინახება; აქვე, ძვირფასი თვლებით მოკვილ კაროს ლუსკუში, ვნახე გამხმარი მკლავი; როგორც ამბობენ, ეს არის წმინდა მარინეს მკლავი; ვნახე აგრეთვე წმინდა კვირიკის მკლავი და კაროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდა ნაწილები. კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისაგან გაკეთებულ ყვავილებით მოკრულ ებანოის ყუთში“ (კან-მარტინის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში თბილისი 1975 წ. გვ. 156).

უაღრესად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ რუსი ელჩების ალექსი იველიევისა და ნიკოფორე ტოლოჩანოვის საგვარეულო მოსწენებაში დაცული ცნობა, რომლებიც იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდნენ 1650-1652 წლებში.

ალექსი იველიევისა და ნიკოფორე ტოლოჩანოვის ბერძენ, რომლებიც ათონის მონასტრიდან იყვნენ გამოგზავნილი სამონასტრო გადასახადის ასაკრეთად, უამბებს რომ სადადიანოში, ხობის მონასტრში ყოფიხას, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და მარტარილოს ქვის საყდარია, საბერძნეთის მეფის ბერეკლეს მიერ აგრებული ძველი დროიდანვე ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართი დაცული, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ჩამოტანილი ერთ წიგნების მცველს, მაშინ, როდესაც თოფთავე მეფის დროს წმინდა ხატების დედა შიმდინარობდა საბერძნეთში, ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანში ყოფილა დაცული და საყდრის საკურობველთან დადგმული, მთავრის ლევან დადიანის და კათალიკოსის ბეჭდით დალუქული ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართი ოურმე სნეულის განსაკურნავად ხმარობდნენ.

ალექსი იველიევი აღნიშნავს, რომ მან ღვთისმშობლის კვართის შესახებ ჰკითხა ჯაქარია მიტროპოლიტს, უნახავს თუ არა მას ნამდვილად ღვთისმშობლის კვართი. მიტროპოლიტს თურმე მრავალჯერ უწავდა და აღუნიშნავს, რომ იგი მოგვების მცველის მიერ ყოფილა მტანოლი იმ დროს, როცა წმინდა ხატები დევნას განიცდიდნენ საბერძნეთში. „ის ნამდვილად ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართია და სნეულის განკურ-

ნებაც მისგან ყოფილა, მხოლოდ ამჟამად ყველაფერი შეწყდა იმიტომ, რომ დადიანი სარწმუნოებას განუდგა და მამადადიანობა მიიღო“ (ალექსი იველიევი 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბილისი 1969 წ. ი. ცინცაძის გამოცემა გვ. 142).

თურმე აქ ინახებოდა ძველი ცხოვრების ნაწილები და სხვა წმინდათა ნაწილები, რომლებიც მივიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებული ყოფილა, არც სამთხებს უნებდნენ და არც გაალობდნენ. რუს ელჩს ალექსი იველიევის ჯაქარია მიტროპოლიტთან საუბრისას სურვილი გამოუთქვამს კვართის მოხკვლში წამოღებისა. მიტროპოლიტის განმარტებით: „მისი უდიდებულესობა მეუბნება, თუ ალექსანდრე მეფის და კათალიკოსის მისწერს, მეუბნება უდიდებულესობის ახრძანებას შესარულებლად“ (ნაშრომი იველიევი, გვ. 14, 3. თ. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 155).

ეკვთიმე თაყაიშვილი თავის სრულიყოფით მოგვარობაში ხობის ეკლესიაში დაცულ საგანძურთან შორის აღწერს აგრეთვე ნაწილებს, რომლებიც ინახებოდა ღვთისმშობლის კვართი და სხვა წმინდა ნაწილები. იგი აღნიშნავს, რომ „წარწერა ეკუთვნის დიდ ლევან დადიანს. მისი მეუღლე ნესტან-დარეჯან ჰილდის ასული გარდაიცვალა 1689 წელს, მაშასადამე წარწერა გაკეთებულია 1689-1697 წლებში“.

ცხადია, რომ შემთხვევითი ცნობები, რომლებიც რუს ელჩებს ადგილობრივმა ინფორმატორებმა მიწოდეს, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში ჩამოტანას ბიზანტიაში მე-8 საუკუნეში ხატომებროლოგის არსებობას უკავშირებენ.

ამრიგად, იმის შესახებ თუ როგორ მოხდა ღვთისმშობლის კვართი საქართველოში, წერილობითმა წყაროებმა შემოგვიანბნეს ორი ვერსია: პირველის თანახმად ის ჩამოიტანეს მე-8 საუკუნეში, ბიზანტიის დედაქალაქიდან. კონსტანტინეპოლიდან. მეორის მიხედვით, კვართი ჩვენში ჩამოიტანილ იქნა მე-15 საუკუნეში კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453) შემდეგ. თუ რომელი ვერსიაა სწორი ამას შემდგომი კვლევა წარმოაჩენს.

ლილი ბაბიანი, გუგლიძის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი შემსახველი.

დასასრული

გერ ახლენს მდგომარეობაზე ქალაქისა და რაიონის მოსახლეობიდან ნამეტ ნაწილს საქართველო პროდუქტების დაზარალებლობის ორგანიზაციის რადიკალურად გაუმჯობესების მიზნით—ნათქვამია განკარგულებაში, დამზადების უზრუნველს. სამეურნეობათმშობისა გაერთიანება გარდაქმნას დამზადების სამეურნეობათმშობისა წარმოება მას დაეკისროს ქალაქისა და რაიონის მოსახლეობ

სეზონი ორგანიზებულად დავიწყეთ

იღან წაწილი პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის მთლიანი ფუნქციები, შევიდნენ იგი უზრუნველს. და ნათქვამი შეტყუების ნაწილს გაერთიანების დაქვემდებარებაში იფრდიული პირნი უფლებით ცალკე სამეურნეო ანგარიშზე. დამზადების უზრუნველს. ნათქვამი მთლიანი გაერთიანების ორგანიზაციასთან დაქვემდებარებაში.

მით განთავსდნენ კოლმეურნეობები, მეურნეობები, სამეურნეობათმშობის და სხვა საქარგობი მოსახლეობიდან ნათქვამი პროდუქტების დამზადების ფუნქციები შეტყუებისაგან. საზოგადოებრივ მეურნეობებში ამჟამად არსებული დამზადების უზრუნველს. მთლიანი-ანგარიშისაგან გადვიდნენ დამზადების სამეურნეობათმშობის ნაწილს წაღანს იღან ხალხს.

ახალი საწარმოს დირექტორს, სერგო ყავლაშვილს გაეჩიოა მეზობელ ორგანიზაციასთან დაკავშირებით გთხოვთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: —რბ ამოცანები დგას წელს დამზადებაელთა წინაშე? როგორ განიცადის შედეგად გაიზარდა კოლექტივის ამოცანები. წელს სახელმწიფოს უნდა ჩავბართო 100 ტონა კულკოპანი?

ათასი ტონა თესლოვანი ხილი, 5 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1800 ტონა დაფნა და 1004 ტონა ზურმა. რომორ დაიწყო სეზონი სომ არ არის დამაშავებელითა სპეციალურად ხელმეორეული შიშვამი? სეზონი ორგანიზებულად დასაწყეთ. დღემდე დამზადდა 100 ტონა დაფნა, მიმდინარეობს კურკოვანი ხილის დამზადება. გვაქვია ტარა მასალა, მაგრამ ვდებულობ ზომებს მდგომარეობის დამზადებაში.

სტუდიაში

სტუდიაში

მათ იხიან ქართული სკანის ფასი...

ზაფხული უმეტესად დასვენებისა და „უშოქმედობის“ ასოციაციას იწვევს. ვუაქრობდი, ზუგდიდის მუსიკალურ საზოგადოებასთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის ივლისის ცხელ დღეებს ქალაქგარეთ შეფარებდა თავს. „იმედი“ გამოცრუვდა... სტუდიის რომელიღაც დარბაზი „ოდოიას“ ტიპელ მანგებს გამოცემდა, დერეფანში კი ყველმოდებულნი გოგო-ბიჭები დაფარვატებდნენ.

ქორეოგრაფიულ სტუდიაში ზამთერივთ ანსამბლი მოქმედებს, მაგრამ მაშინ იქ მხოლოდ „მტრედები“ დამხვდა. მეგზურობა ანსამბლის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა ბატონმა ბრუნო ბულიამ გამიწია.

საუბრის დასაწყისშივე გამახვილდა ყურადღება ტრადიციულ პრობლემაზე, რომელიც შენობას ეხებოდა. სადა რა და ქორეოგრაფიულ სტუდიას ნორმალური შენობა მართლაც სჭირდება. ამატრით წუთით წარმოვიდგინოთ საცდევად შემართული „ტალანტი“ შესაფერისი დარბაზი გარეშე. არადა ისინი ეხლანდელ შენობაში მიახლოებით ოცო წელია რაც არიან. ვისმინდი ქორეოგრაფის გულმისტიკილიან ხაუბარს და განწყობილება, რომლითაც მოვეშურებოდი „ცეკვის ხალხში“, ძალაუფლებურად გაუფერულდა. ბატონო ბრუნო! თქმით, შენობის შესახებ თხოვნა-დაპირება ერთ-მანეთს ცვლიდა თურმე. მშო-

ბლების სახსრებითაც შეუკეთებიათ, მაგრამ მაინც არ ეშველათ. საქმე ის არის, რომ შენობა არ ექვემდებარებოდა აღებას, რადგანაც მას ღირსება „ბედნიერება“ თავის დროზე ზუგდიდელთათვის „რევოლუციის გამარჯვება“ იმცნო... ახლა დრო შეიცვალა. ბატონმა ბრუნომ იმედით თქვა: „ჩვენ ჩვენც გვეშველოსო...“

რადგანაც სტუდიაში მხოლოდ „მტრედები“ დამხვდა, ვისარგებლე შემთხვევით და ბატონ ბრუნოს ანსამბლის შესახებ გავესაუბრე. „ზუგდიდური“ ცეკვის გულშემატკივრებისათვის უცხო არ უნდა იყოს „მტრედების“ და მით უმეტეს მისი ხელმძღვანელის სახელი. ანსამბლი უკვე თხუთმეტი წელია ქართული ცეკვის ნაკვალაფზე „ცოცხლობს“. აქ გაერთიანებული არიან საშუალო ასაკის ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონები, თაობები იცვლებიან. ბატონი ბრუნო აგერ უკვე მეოთხე თაობას აზიარებს ქართული ცეკვის ხელოვნებას.

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონცერტებში. მაგრამ ისინი მხოლოდ ამას არ ჭერდებიან. „მტრედები“ თავის ყველს ტოვებს რესპუბლი-

კის ფარგლებს გარეთაც. ამას ადასტურებს მათ მიერ საზღვარგარეთ გამართული კონცერტები იუგოსლავია, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ხალტი-ესპიკეთი, მოსკოვი, ევროპის ბავშვთა ფესტივალი... ვინ იცის სად არ დამტკბარან ქართული ცეკვის სიდიადით.

სტუდიის (დირექტორი გ. ჯიქია) პედაგოგები ქ. ჩილაჩავა, რ. გვილია, როგორც ბატონმა ბრუნომ თქვა, — როგორც კულტურის, კერძოდ, ქართული ცეკვის განვითარების უკეთესი მოხელეებს საქმეს ემსახურებიან. ამის საბაზს დიდებულად შერჩეული რეპერტუარიც იძლევა. ძირითადად ისინი მაინც ქართულ ხალხურ ფოლკლორს უჭირდებიან. ეს არის, მეგრულ-კუთხური ცეკვა „ვილია“, „მთიულური“, „ფაშველი გოგონები“, „აქარული“, სხვადასხვა თემატური ცეკვები.

ქორეოგრაფიულ სტუდიას, ბატონი ბრუნოს თქმისა არ იყოს, საშაყუ ცოტა როდი აქვს. მართლაც მისი აღზრდილები საქართველოს წამყვან ანსამბლებს ამშვენებდნენ. გავიხსენოთ რ. ჩხეიძე, ძმები: მოსიები, რუსლან აკოპია, ზაურ ჯალაღონია, სერგო წოწონავა... და ბოლოს ჩვენი ერთგული

მასპინძელი ბრუნო ბულია. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბატონი ბრუნოს სახით სამეგრელოს რეგიონში ერთადერთი ქორეოგრაფიულ-ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გვყავს.

„და მაინც, მათცეცდა ამ განია ზაფხულში ასეთავა-მოღებით რატომ იწურებოდნენ ოულში ანსამბლის წევრები. საიდუმლო ბავშვებმა გამომხილეს: კვლავ სიურპრისი ზუგდიდელთათვის: „მტრედები“ საზღვარგარეთ მიემგზავრება გასტროლებზე, თუმცა მგზავრობა რატომღაც ჭიანჭურდება. ბატონმა ბრუნომ იხუმრა კიდევ, „აპრილიდან მიფრინავთ, მიფრინავთ და ვერ გავფრინდითო“...

მას შემდეგ, რაც ნოეს კიდობნიდან აფრინილია მტრედმა განწირული სიცოცხლის „დაბრუნება“ შეძლო, იგი კაცობრიობამ ღვთაებრივი და მშვიდობის სიმბოლოდ დაისახა. ანსამბლის თითოეული ნორჩი მოცეკვე „ნოეს კიდობნიდან“ აფრინილი მტრედია. მათ იციან ქართული ცეკვის ფასი და შეუძლიათ ამ საუნჯის გაფრთხილება. — ნიშნისმოგებით თქვა ბატონმა ბრუნომ. ქართული ცეკვის ხელოვნება მათ ბევრს ავალღებს, ზუგდიდელი თავყანისმცემლები და გულშემატკივრები კი მოთმინებით ელოდებიან „მტრედების“ მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ „ნუშის რტოს“.

რუსნიკო მიქენაძე.

პროფესიის სიყვარული

საშუალო სკოლა რომ დამთავრა, გულმა ქუთაისისკენ გაუწია. ბავშვობიდანვე იტაცებდა მას რადიო-ტელევიზორის შემკეთებელი ხელოსნის რთული და სინტეტურის პროფესია. ახალგაზრდა ტახტევი ზური სხულუხია ქუთაისის რადიო-ტელევიზიის ხელოსანთა მოსამზადებელ ტექნიკუმში ჩაირიცხა, სწავლის დღეებაც მალე მიიწია და ახალბედა სპეციალისტი 1977 წელს ქალაქ ზუგდიდის №1 ტელეტელევიზიაში სამუშაოდ გაიგზავნა.

უჭირდა პირველი, სიმძლეული მრავალდღეობა. მაგრამ არჩეული პროფესიისადმი სიყვარულმა და გულმოდგინე მუშაობამ წლებთან ერთად გამოცდილებაც მოუტანა. იგერ უკვე ცამეტ წელიწადზე მეტია ზ.

სხულუხია №1 ტელეტელევიზიაში დაუღალავად რომ იღვწის და მაღალპროფესიულად ემსახურება კლიენტებს, არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მას ვინმე გაეწილებინოს და გულითაღობა არ გამოეჩინოს დამკვეთთან ურთიერთობაში. მის მიერ შეკეთებული ტელევიზორი, შეიძლება ითქვას, მეორე სიცოცხლეს იქნის.

თავმდაბალი, ზნეუთილი, თავის საქმის უარგესად მცოდნე ასე იცნობენ მას კლიენტები ქალაქის ტელეტელევიზიაში. ამჟამად იგი თავის მდიდარ თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას უშუალოდ გადასცემს ახალგაზრდა შეგირდებს, ასწავლის გარჯის ყაღრსა და სიხარულს. დეგრობა ხელი მოუშობოს!

ზ. ბაღდვალი, შრომის ვეტერანი.

ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ტყეს დიდი ადგილი უკავია. ილიაინის ვალია დიკვას იგა. მწვანე ნარგავები ატმოსფერული ჰაერის სასიცოცხლო ფილტრია. მათ სანიტარულ-პედაგოგიური და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. ისინი აღმჭრავსებენ მიკროკლიმატს, ამცირებენ ჰაერის ტემპერატურას წლის ცხელ თვეებში, ზრდიან ტენიანობას, სასიკეთო გავლენას ახდენენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ასუფთავებენ ჰაერს მტვერისაგან, ამცირებენ ხმაურს. სამრეწველო ტერიტორიაზე გაშენებული მწვანე ნარგავები საწარმოო ნაგებობებს იცვენ ქარის, მტვერისა და თოვლისაგან, ამაგრებენ გრუნტს, ასრულებენ ხანძარსაწინააღმდეგო და ხმაურსაწინააღმდეგო ზღუდეების ფუნქციებს. ცნობილია, რომ ჰექტარი ტყე დღის განმავლობაში დაახლოებით 270-280 კილოგრამი ნახშირბადის ინტენსივობას ახდენს.

საქართველოს და ამასთან ერთად ზუგდიდის ფლორა დიდი განდი და ეროვნული სიმდიდრეა, რომელსაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ამდროს კი ბევრმა საზოგადოებრივი მეთრენობის ხელმძღვანელმა გულმართლებლად, ნიდაგის სათანადო შესწავლის გარეშე 15 გრადაუსზე მეტი დაქანების ფერდობებზე მიახლინა ტყის ამოძრავა, რაზედაც დაიხარჯა უამრავი თანხა და ბევრ ეს მიწები მიტოვებულ იქნა როგორც გამოუსადეგარი, რამაც შემდგომში გამოიწვია

ამ ფართობების ეროზირება. 1983-1990 წლებში რაიონში ზუგდიდის სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის მიერ აღდგენილი და გატყვებულ

არის ამოღებული იმის გამო, რომ დამნაშავე პირები არ იხდიან მას. ესენი არიან სოფელ კახალის მცხოვრები სლავიკ ვუგუჩია, რომელსაც

ლითისათვის შეიძლება ასეთი ციფრებიც მოეცემა. ყოველი ქალაქის გამწვანების ნორმების დადგენისათვის იხმარება სიდიდე, რომელიც განისაზღვრება ერ-

„ტყე შეუნახე შვილებსა...“

ფართობებზე გაშენდა აკაციის, იფნის, თბილისა და სხვა ჯიშების ნერგები. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უკანონოდ იტრება „წითელ წიგნში“ შეტანილი ხეები, როგორცაა უთხოვარი, წაბლი, კოლხური ბზა და სხვა.

ტყეების არასწორმა ექსპლოატაციამ მნიშვნელოვნად გააუარესა მათი ნიადაგადაცვითი და წყალდაცვითი ფუნქციები სახელმწიფო ტყეებში.

ამ მხრივ ბევრად უარესი მდგომარეობაა საკოლმეურნეო ტყეებში. ყოველდ გაუმართლებელია ისეთი მოქმედება, როდესაც მოსახლეობა უკანონოდ ითვისებს მიწის ნაკვეთებს, რომელიც ტყით არის დაფარული და ბარბაროსულად ანადგურებენ ტყეს ან ხეხლის ნარგავებს იმ მრტივით, რომ ეს მიწა ჩემს „წინაპრებს“ ეკუთვნის.

მიმდინარე წლის მარტ-აპრილის თვეში კომიტეტის მუშაების მიერ რაიონის რიგ სოფლებში გამოვლინდა უკანონოდ ჩატარებული ტყის ამოძრავითი სამუშაოები. დღეის მდგომარეობით დაჭარიმებულია 20-ზე მეტი კაცი. ჯარიმის თანხამ შეადგინა 6162 მანეთი. მათ შორის ამოღებულია 3930 მანეთი, ხოლო 2232 მანეთი არ

მართებს ტყის უკანონო ჭრით მიყენებული ზარალი 1182 მანეთი, ახალკახთელეებმა ვარდიშა და მეტამ შონიებმა უნებართვოდ მოკრეს ჰადრის ხეები. კომისიის მიერ მიყენებული ზარალი შეფასებულ იქნა 700 და 315 მანეთად. სამივე ზემოთხსენებული მოქალაქის საქმეები გადაეგზავნა ზუგდიდის სარაიონთაშორისო პრეკურატურას სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ამოსაღებად. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დაჭარიმებული მოქალაქეები ცხოვრობენ ქალაქში, გაანიათ კეთილმოწყობილი საკარმიდამო ნაკვეთები, სოფლად კი შექმნილი ნაკვეთები გაფორმებული აქვთ სხვადასხვა პიროვნების სახელზე და უკანონოდ, ბარბაროსულად ანადგურებენ საკოლმეურნეო ტყის ფართობებს. ამას კი ხელს უწყობს სოფლის ხელმძღვანელობა, რომელიც შემრიგებლურად უშუტებს ასეთ უკანონო მოქმედებას.

თუ გადავხედავთ ამ მხრივ ქალაქში არსებულ მდგომარეობას, იგი არც თუ იხე სხვა რბილდა. თვალში მოგვხვდება მწვანე ნარგავების ნაკლებობა განსაკუთრებით სამრეწველო საჭარბათა ტერიტორიაზე. მთავა-

თეულო ფართობების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე. ეს სიდიდე ცვალებადია და რეგიონის ეკოგრაფიულ-ეკოლოგიურ პირობებზე დამოკიდებულია. ეს მიჩვენებული ქალაქ ზუგდიდისათვის 14 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ნორმა კი 21 კვადრატულ მეტრს ითვალისწინებს.

ქალაქში იგარბობა ნარგავთა ერთფეროვნება მაშინ, როდესაც ზუგდიდის დადინისეული ბოტანიკური ბაღი, რომლის საერთო ფართობი 25,6 ჰექტარს შეადგენს 1000-ზე მეტ სხვადასხვა ჯიშის მცენარეს ითვლის.

ქალაქში მწვანე ნარგავთა საერთო ფართობი შეადგენს 65,4 ჰექტარს. ქალაქდაგეგმარების პერსპექტიული გეგმით გავალისწინებულია ახალი გამწვანებელი ზონების შექმნა, მაგრამ ბირველად თითოეულმა საწარმომ უნდა იზრუნოს თავისი ტერიტორიის გამწვანებასა და კეთილმოწყობაზე.

მწვანე ნარგავთა მოვლა-ბატონობისათვის ქალაქში არსებობს სპეციალური სამსახური — გამწვანების კანტორა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ქალაქ ფლორის მოვლა-ბატონობა. ფაქტია, რომ ქალაქში

ყოველწლიურად ირგვება ასობით ძირი ნარგავი. მათი კარგი მოვლით და გახარებით ქალაქი მწვანე წალკოდ იქცეოდა, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე პროცენტი ხარობს, დანარჩენი კი ხმება. ესე იგი გამწვანების კანტორა ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც მასზე დაკისრებულს, მაგრამ ამის ობიექტურ მიზეზად შეიძლება მოგვანილ იქნას სახსრებისა და მომსახურე პერსონალის უკმარობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სისტემატური ხასიათი მიიღო ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ მოხეტიალე პირტყვის გამოშვებამ, რომელიც აფუჭებს და ანადგურებს მწვანე ნარგავებს და უკარგავს თავის იერსახეს.

გაზონებსა და ყვავილნარებს დიდ ზიანს აყენებს ქუჩების განაპირას ჩახერგილი ავტომანქანები, ძრავის ამუშავების გამოწვევით, ცხელი აირები მომაკვნილებლად მოქმედებენ მცენარეებზე.

„ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი გალია“ — ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მიგვიპოთებს თუ რა დიდი მისი გვევალება ჩვენი შთამომავლობისწინააღმდეგ.

ზ. სამშლიძე, ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის წამყვანი მეტყველებენერი.

